



Register your new Bosch now:
www.bosch-home.com/welcome





ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა **SM...**
SB...



BOSCH

ka მოხმარების ინსტრუქცია



სარჩევი

 დანიშნულებისამებრივი გამოყენება	5	 ჭურჭელი	16
 უსაფრთხოების მითითებები	5	არ არის რეკომენდირებული	16
სანამ დანადგარს ექსპლუატაციაში ჩაუშვებდეთ	6	მინისა და ჭურჭლის დაზიანება	16
მიწოდებისას	6	ჩალაგება	16
მონტაჟისას	6	ამოლაგება	17
ყოველდღიური ექსპლუატაციისას	8	ჭიქები და თასები	17
კარის დაბლოკვა	8	ქვაბები	17
გამოვლენილი ზიანისას	8	დანა-ჩანგლის კალათი	18
განკარგვისას	8	თარო	18
 გარემოს დაცვა	10	დასაკეცი შვერილები	19
შეფუთვა	10	პატარა თეფშების დამჭერი	19
ძველი დანადგარები	10	დანების ჩასალაგებელი	19
 დანადგარის გაცნობა	11	კალათის სიმაღლის რეგულირება	20
მართვის პანელი	11	 გამწმენდი	21
დანადგარის შიდა სივრცე	11	ჩაასხით სარეცხი საშუალება	22
 სიხისტის დამარბილებელი/სპეციალური მარილი	12	კომბინირებული სარეცხი	22
დაყენება	12	საშუალება	23
წყლის სიხისტის ცხრილი	13	 პროგრამის მიმოხილვა	24
სპეციალური მარილის გამოყენება	13	პროგრამის არჩევა	25
გარეცხვა მარილის კომპონენტებით	14	მითითებები სატესტო	25
დარბილების გამორთვა	14	ორგანოებისათვის	25
 სავლები საშუალება	14	 დამატებითი ფუნქციები	26
სავლები საშუალების რაოდენობის დაყენება	15	დროის ეკონომია (VarioSpeed)	26
სავლები საშუალების შევსების მაჩვენებლის გამორთვა	15	ინტენსიური ზონა	26
		ამტმებიდთ ფუმ	26
		ნახევარი დატვირთვა	26
		განსაკუთრებით გაშრობა	26

დანადგარის გამოყენება 27

პროგრამის მონაცემები	27
აქვასენსორი	27
დანადგარის ჩართვა	27
პროგრამის მიმდინარეობისას ოპტიკური მაჩვენებელი	28
დროის არჩევა	28
პროგრამის დასრულება	28
პროგრამის შეწყვეტა	29
პროგრამის შეწყვეტა	29
პროგრამის შეცვლა	29
ინტენსიური შრომა	30

გაწმენდა და ტექნიკური მომსახურება 30

მანქანის ზოგადი მდგომარეობა	30
სპეციალური მარილი და სავლები საშუალება	31
ფილტრი	31
სარეცხი მკლავები	32

ხარვეზი, როგორ მოვიქცეთ? 32

სადრენაჟო ტუმბო	33
ხარვეზების ცხრილი	34

კლიენტთა მომსახურების სამსახური 46

დაყენება და შეერთება 46

მოწოდების მოცულობა	47
უსაფრთხოების მითითებები	47
მიწოდება	47
ტექნიკური მონაცემები	47
დაყენება	48
გადინების წყლის შეერთება	48
სასმელი წყლის შეერთება	48
ელექტრული შეერთება	49
დემონტაჟი	49
ტრანსპორტირება	50
ყინვისაგან დაცვა (დანადგარის დაცლა)	50



დანიშნულებისამებრივი გამოყენება

- ეს დანადგარი განკუთვნილია სახლში მოხმარებისათვის, კერძო საკუთრებისა და სახლის გარემოსათვის.
- გამოიყენეთ ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნით და მხოლოდ მოცემული დანიშნულებით: საყოფაცხოვრებო ჭურჭლის გასარეცხად.
- ეს ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა განკუთვნილია ზღვის დონიდან მაქს. 4000 მ-ზე ექსპლუატაციისათვის.



უსაფრთხოების მითითებები

ამ დანადგარის გამოყენება ნებადართულია მ წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისათვის და ფიზიკურად, სენსორულად ან გონებრივად შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებისათვის ან გამოცდილებისა თუ ცოდნის არ მქონე პირთათვის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მეთვალყურეობის შემთხვევაში ან დანადგარის უსაფრთხო მოხმარების შესწავლის შემდეგ, თუ მათთვის გასაგებია არასწორ მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები.

ბავშვების თამაში დანადგართან დაუშვებელია. გაწმენდითი სამუშაოები, ისევე როგორც დანადგარის ტექნიკური მომსახურება დაუშვებელია განხორციელდეს ბავშვების მიერ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ასაკი არის მ წელზე მეტი და იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ.

მოარიდეთ მ წლამდე ასაკის ბავშვები დანადგარს და მის გაყვანილობებს.

სანამ დანადგარს ექსპლუატაციაში ჩაუშვებდეთ

ყურადღებით წაიკითხეთ მოხმარებისა და მონტაჟის ინსტრუქციები! თქვენ მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას დანადგარის დაყენების, მოხმარებისა და ტექნიკური მომსახურების შესახებ.

შეინახეთ ყველა დოკუმენტი შემდგომი გამოყენებისათვის ან შემდგომი მფლობელისათვის.

მოხმარების ინსტრუქციის ჩამოტვირთვა თქვენ უფასოდ შეგიძლიათ ჩვენი ინტერნეტ გვერდიდან. ინტერნეტის შესაბამისი მისამართი მოცემულია მოხმარების ამ ინსტრუქციის ბოლო გვერდზე.

მიწოდებისას

1. დაუყოვნებლივ შეამოწმეთ შეფუთვა და ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა ტრანსპორტირების ზიანზე. არ გამოიყენოთ დაზიანებული დანადგარი, არამედ მიმართეთ თქვენს მომწოდებელს.
2. შესაბუთი მასალები სათანადოდ განკარგეთ.
3. არ დაუტოვოთ შეფუთვა და მისი ნაწილები ბავშვებს სათამაშოდ. შესაფუთი მასალა და ფურცლები, დახრჩობის საფრთხეს ქმნის.

მონტაჟისას

- ყურადღება მიაქციეთ, რომ ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის უკანა მხარე, მონტაჟის შემდეგ აღარ იყოს თავისუფლად მიდგომადი (შენებისაგან დამცავი ცნელი ზედაპირის გამო).
- დაყენება და სეერთება საინსტალაციო და სამონტაჟო ინსტრუქციის თანახმად მოახდინეთ.
- მონტაჟისას, საჭიროა ჭურჭლის სარეცხი დანადგარის ქსელიდან გამოერთება.
- დარწმუნდით, რომ სახლის ელექტრული მონტაჟების დამცავი სისტემა ჯეროვნად არის დაყენებული.
- შეერთების ელექტრული მონაცემები თანხვედრაში უნდა მოდიოდეს ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის ტიპის ნიშნულზე [32](#) მოცემულ მონაცემებთან.
- თუკი თქვენს დანადგარს დაუზიანთა ქსელის შემაერთებელი გაყვანილობა, მისი გამოცვლა უნდა მოხდეს განსაკუთრებული შეერთების გაყვანილობით. შესაძლო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ასეთი სახის სამუშაოები კლიენტთა მომსახურების სამსახურის მიერ უნდა შესრულდეს.

- თუ, ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა მაღალ კარადაში მონტაჟდება, ის სათანადოდ მყარად უნდა იქნას დამაგრებული.
- თუ ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა სხვა საყოფაცხოვრებო დანადგარის ქვეშ ან ზემოთ უნდა ჩაშენდეს, საჭიროა გათვალისწინებული იქნას შესაბამისი დანადგარის ჭურჭლის სარეცხთან ერთად კომბინაციაში მონტაჟის ინსტრუქციები.
- ყველა დანადგარის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად, ასევე, ყურადღება მიაქციეთ ჭურჭლის სარეცხის სამონტაჟო ინსტრუქციას.
- თუ არ არის აღნიშნული ინდორმაცია ან სამონტაჟო ინსტრუქცია არ შეიცავს შესაბამის მითითებებს, გთხოვთ მიმართეთ ამ დანადგარის მწარმოებელს, რათა დარწმუნდეთ, რომ ჭურჭლის სარეცხის მონტაჟი დასაშვებია ამა თუ იმ დანადგარის ზემოთ ან ქვემოთ.
- თუ თქვენ ვერ მიიღეთ მწარმოებლისაგან ინფორმაცია, ნუ დაამონტაჟებთ ჭურჭლის სარეცხს ამა თუ იმ მოწყობილობის ზემოთ ან ქვემოთ.
- თუ თქვენ, ჭურჭლის სარეცხის ზემოთ მიკროტალღურ ღუმელს ჩააშენებთ, ის შეიძლება დაზიანდეს.
- ქვემოთ ჩასაშენებელი ან ინტეგრირებადი დანადგარები მხოლოდ უწყვეტი სამუშაო ზედაპირის ქვეშ ჩააშენეთ, რომლის დროსაც, ჰოზიციონირების უსაფრთხოებისათვის, ისინი მოსაზღვრე კარადებთან მყარად მიახრახნეთ.
- არ დაამონტაჟოთ დანადგარი სითბოს წყაროების სიახლოვეს (გამათბობელი, ღუმელი, ან სხვა სითბოს წარმომქმნელი) და არ ჩააშენოთ ის კონფორების ველის ქვეშ.
- გაითვალისწინეთ, რომ სითბოს წყაროებთან (მაგალითად, გათბობის მოწყობილობები / ცხელი წყლის მოწყობილობები) ან დანადგარის ცხელ ნაწილებთან სიახლოვისას, შესაძლოა ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის ქსელის გაყვანილობის იზოლაცია დადნეს. ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის ქსელის გაყვანილობა, არასოდეს მოიყვანოთ კონტაქტში სითბოს წყაროებთან ან დანადგარის ცხელ ნაწილებთან.

- დანადგარის დაყენების შემდეგ, ქსელის შტეკერი იოლად მიდგომადი უნდა იყოს.
(იხილეთ ელექტრული შეერთება)
- ზოგიერთი მოდელისათვის: წყლის შეერთებასთან, პლასტმასის კორპუსი ელექტრო სარქველს შეიცავს, ხოლო გადინების მილში შემაერთებული გაყვანილობაა. არ გადაჭრად ეს შლანგი და არ ჩადოთ პლასტმასის კორპუსი წყალში.

ყოველდღიური ექსპლუატაციისას

ყურადღება მიაქციეთ, დანადგარის შეფუთვაზე დატანილ საწმენდი და სავლები პროდუქტების უსაფრთხოების ან მოხმარების მითითებებს.

ბავშვთა უსაფრთხოება (კარის დაბლოკვა) *

ბავშვთა უსაფრთხოების ჩამკეტის აღწერილობა ბროშურის ბოლოშია.

* მოდელის შესაბამისად

გამოვლენილი ზიანისას

- შეკეთებითი და ტექნიკური სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ სპეციალისტების მიერ. ამასთან, საჭიროა დანადგარი გამოერთებული იყოს კვების წყაროდან. კვების შტეკერი გამოაერთეთ ან გათიშეთ დამცავები. დაკეტეთ წყლის ონკანი.
- დაზიანებისას, განსაკუთრებით მართვის პანელის (ნაპრალები, ხვრელები, ამოტენილი ღილაკები) ან კარის შემთხვევაში, დანადგარის ოპერირება უნდა შეწყვიტოთ. კვების შტეკერი გამოაერთეთ ან გათიშეთ დამცავები. დაკეტეთ წყლის ონკანი, დარეკეთ კლიენტთა მომსახურების სამსახურში.

განკარგვისას

1. ვადა გასული დანადგარები დაუყოვნებლივ გახადეთ გამოუყენებელი, რათა მისით შემდგომი საფრთხე იქნას თავიდან აცილებული.
2. განახორციელეთ დანადგარის ჯეროვანი განკარგვა.

⚠ გაფრთხილება
დაზიანების საფრთხე!

- ჭურჭლის სარეცხი მანქანა მხოლოდ ხანმოკლეთ, ჩატვირთვა-ამოღებისათვის შეიძლება გაიღოს, რათა დაზიანება, მაგ. ფენის წამოდება აირიდოთ.
- დანები და სხვა ბასრი პირის ერთეულები, დანა-ჩანგლების კალათში წვეტით ქვემოთ ან დანების განყოფილებაში* ჰორიზონტალურად უნდა ჩაალაგოთ.
- არ ჩამოაგდეთ ან დადგეთ გაღებულ კარზე.
- ამასთან, სტანდარტული დანადგარების შემთხვევაში, ყურადღება მიაქციეთ, რომ კალათები არ გადაიტვირთოს.
- თუ დანადგარი არ ზის ნიშაში და ამგვარად გვერდითა კედლები წვდომადია, საჭიროა კარის არეალი უსაფრთხოების მიზნით გვერდიდან დაფარული იყოს (დაზიანების საფრთხე). საფარის მიღება შეგიძლიათ დამატებითი აქსესუარის სახით კლიენტთა მომსახურების სამსახურში ან სპეციალიზირებულ მოვაჭრესთან.

* მოდელის შესაბამისად

⚠ გაფრთხილება
აფეთქების საფრთხე!

არ ჩაასხათ გამსხნელი საშუალება სარეცხ არეში. აფეთქების საფრთხე!

⚠ გაფრთხილება
დამწვრობის საფრთხე!

პროგრამის მიმდინარეობისას, კარი ფრთხილად გააღეთ. არსებობს საფრთხე, რომ დანადგარიდან ცხელი წყალი გადმოიშხეფოს.

⚠ გაფრთხილება
საფრთხე ბავშვებისათვის!

- არსებობს შემთხვევაში, გამოიყენეთ ბავშვთა უსაფრთხოების ჩამკეტი. დეტალური აღწერილობის ნახვა შეგიძლიათ ბროშურის უკან.
- არ მისცეთ ბავშვებს უფლება ითამაშონ დანადგარით ან მართონ ის.
- მოარიდეთ ბავშვები სარეცხ და სავლებ საშუალებებს. ამას შეუძლია პირის, ყელისა და თვალების დამწვრობა ან გაგუდვა გამოიწვიოს.

- მოარიდეთ ბავშვები გაღებულ ჭურჭლის სარეცხ მოწყობილობას. შესაძლოა ჭურჭლის სარეცხ მოწყობილობაში პატარა ნაწილები იდოს, რომელიც ბავშვს გადაეყლაპოს, და მასში არსებული წყალი არ არის დასაღვად ვარგისი, ის შეიძლება შეიცავდეს სარეცხი საშუალების ნარჩენებს.
- ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვები არ სწვდნენ აბის ჩასადებს [22]. პატარა თითები შეიძლება შლიცებში გაეჭედოთ.
- მაღალ კარადაში ჩაშენებული დანადგარების შემთხვევაში, კარის გაღებისა და დახურვისას, ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვები დანადგარის კარსა და მის ქვეშ მდებარე კარადის კარს შორის არ გაიჭედონ.
- ბავშვები შეიძლება ჩაიკეტონ დანადგარში (გაგუდვის საფრთხე) ან სხვა სახიფათო მდგომარეობა შეიქმნან. მოქმედების ვადა ამოწურული დანადგარებისათვის საჭიროა შემდეგი: ქსელის შტეკერი გამოაერთეთ და გადაჭერით კაბელი. კარის საკეტი ისე გატეხეთ, რომ ის აღარ იკეტებოდეს.

გარემოს დაცვა

ისევე როგორც ახალი დანადგარების შეფუთვა, ძველი დანადგარებიც შეიცავენ ძვირფას ნივთიერებებსა და განმეორებით გამოყენებად მასალებს.

გთხოვთ, განკარგეთ ინდივიდუალური ნაწილები ტიპების შესაბამისად.

განკარგვის მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია გთხოვთ მოიძიეთ თქვენს მოვაჭერესთან ან რეგიონულ სამართველოში.

შეფუთვა

დანადგარის ყველა პლასტმასის ნაწილი აღნიშნულია საერთაშორისო ნორმების შესაბამისი შემოკლებით (მაგ. "PS" პოლისტიროლი). ამით შესაძლებელია დანადგარის განკარგვისას, შემადგენელი ნაწილების შესაბამისი დანაწილება.

ყურადღება მიაქციეთ „მოწოდებისას“ თავში მოცემულ უსაფრთხოების მითითებებს.

ძველი დანადგარები

ყურადღება მიაქციეთ „განკარგვისას“ თავში მოცემულ უსაფრთხოების მითითებებს.



ეს დანადგარი აღნიშნულია ელექტრო და ელექტრული დანადგარების (ელექტრო ნარჩენები და ელექტრონული აღჭურვილობები WEEE) ევროპის 2012/19/EU რეგულაციების შესაბამისად. ევროპის ფარგლებში, ეს რეგულაციები იძლევა ძველი დანადგარების უკან დაბრუნებისა და შეფასების საშუალებას.



დანადგარის გაცნობა

მართვის პანელისა და დანადგარში ჩალაგების დასურათება მოცემულია ბროშურის დასაწყისში.

ტექსტში მინიშნებულია თითოეული პოზიცია.

მართვის პანელი

- 1 ჩართვა-/გამორთვის ჩამრთველი
- 2 დროის არჩევა*
- 3 დამატებითი ფუნქციები **
- 4 პროგრამა **
- 5 ლილაკი <
- 6 ლილაკი >
- 7 მაჩვენებელი წმენდა
- 8 შრობის მაჩვენებელი
- 9 ლილაკი START
- 10 სავლები საშუალების დამატების მოთხოვნის მაჩვენებელი
- 11 მარილის დამატების მაჩვენებელი
- 12 მაჩვენებელი „წყლის მიწოდების შემოწმება“

* მოდელის შესაბამისად

** რაოდენობა მოდელის შესაბამისად

დანადგარის შიდა სივრცე

- 20 ჭურჭლის ზედა კალათი
 - 21 დანების სათავსო*
 - 22 აბის ჩასადები
 - 23 ზედა სარეცხი მკლავი
 - 24 ქვედა სარეცხი მკლავი
 - 25 სპეციალური მარილის სამარაგე ავზი
 - 26 ფილტრი
 - 27 დანა-ჩანგლის კალათი
 - 28 ჭურჭლის ქვედა კალათი
 - 29 სავლები საშუალების სამარაგე ავზი
 - 30 საწმენდის დანაყოფი
 - 31 ჩამკეტი სარეცხის დისპენსერისთვის
 - 32 ტიპის ნიშნული
- * მოდელის შესაბამისად

S სინისტის დამარბილებელი/ სპეციალური მარილი

გავლების ჯეროვანი შედეგისათვის, ჭურჭლის სარეცხ მოწყობილობას ესაჭიროება რბილი, ნაკლებად ხისტი წყალი, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ნადების თეთრი ნალექი ჭურჭელზე და შიდა ავზზე დაილეკება.

გარკვეული სინისტის დონეზე მეტი გაყვანილობის წყალის შემთხვევაში, საჭიროა გამოყენებული იქნას დამარბილებელი, ე.წ. ნადების მოსაშორებელი. აღნიშნული, სპეციალური მარილის ჭურჭლის სარეცხის სინისტის დამარბილებელ მოწყობილობაში მოათავსეთ.

პარამეტრები და მასთან დაკავშირებული მარილის ოდენობა დამოკიდებული თქვენი გაყვანილობის წყლის სინისტის ხარისხზე (იხილეთ შემდგომში მოცემული წყლის სინისტის სია).

დაყენება

მარილის დამატება მე-4 დონეზე დაყენებადია თქვენი წყლის სინისტის შესაბამისად. შესაბამისად გაანათებს 0, 1, 2 ან 3 მაჩვენებელი (იხილეთ ცხრილი). ქარხნულად დაყენებული დონე: 1.

1. გაეცანით თქვენი წყლის გაყვანილობის სინისტის მნიშვნელობებს. ამაში, წყლის მომწოდებელი დაგეხმარებათ.
2. დონე იხილეთ წყლის სინისტის ცხრილში.
3. გააღეთ კარი.
4. ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი 1.
5. ღილაკზე > 6 გეჭიროთ და ჩართვის ღილაკს 9 მანამ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელი შრობა 8 და მარილის დამატების მაჩვენებელი 11 ციმციმებენ.
6. აუშვით ღილაკს. მარილის დამატების მაჩვენებელი 11 და შრობის მაჩვენებელი 8 აციმციმდება. ანათებს A მაჩვენებელი (= დონე 1).

პარამეტრების შესაცვლელად:

1. დააჭირეთ ღილაკს < 5, სანამ სასურველი დონე არ დაყენდება.
2. დააჭირეთ ღილაკს 9 ჩართვა. მაჩვენებლები 8 და 11 ჩაქვრებიან. შეინახება დაყენებული დონე.
3. დაკეტეთ კარები.

წყლის სიხისტის ცხრილი

წყლის- სიხისტის მაჩვენებელი °dH	სიხისტის- დიაპაზონი	მმოლ/ლ	დონე	<input type="radio"/> A	<input type="radio"/> B	<input type="radio"/> C
0-6	რბილი	0-1,1	0	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
7-16	საშუალო	1,2-2,9	1	<input checked="" type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
17-21	ხისტი	3,0-3,7	2	<input checked="" type="radio"/>	<input checked="" type="radio"/>	<input type="radio"/>
22-35	ხისტი	3,8-6,2	3	<input checked="" type="radio"/>	<input checked="" type="radio"/>	<input checked="" type="radio"/>


სპეციალური მარილის გამოყენება

მარილის დამატება ყოველთვის დანადგარის ჩართვის წინ უნდა მოხდეს. ასე, გადმონინებული მარილის ხსნარი უმალ გაირეცხება და სარეცხ ავზში კოროზიების წარმოქმნას აირიდებთ.

1. რეზერვუარის ხრახნი [25] გახსენით.
2. წყლით შეავსეთ ავზი (საჭიროა, მხოლოდ პირველი ექსპლუატაციისათვის).
3. შემდეგ შეავსეთ სპეციალური მარილით (არ გამოიყენოთ სადილის მარილი ან აბები).

ამასთან ერთად ზდება წყლის გამოშვება და გამოდინება.

როგორც კი მარილის შევსების მაჩვენებელი [11] პანელზე გაანათებს, სპეციალური მარილის დამატება კვლავ შესაძლებელი გახდება.



* მოდელის შესაბამისად

მარილის კომპონენტებიანი სარეცხი საშუალებების გამოყენება

მარილის კომპონენტებთან კომბინირებული საწმენდის გამოყენებისას, 21° dH წყლის სინისტის დროს (37° fH, 26° კლარკი, 3,7° მმოლ/ლ), შესაძლებელია სპეციალური მარილისაგან თავის შეკავება. 21° dH-ზე მაღალი წყლის სინისტის არსებობისას, რეკომენდირებულია სპეციალური მარილის გამოყენება.

მარილის დამატების მაჩვენებელი/სინისტის დამარბილებლის გამორთვა

როდესაც მარილის დამატების მაჩვენებელი [11] ხელს უშლის (მაგალითად, მარილის კომპონენტებთან ერთად კომბინირებული რეცნვისას), შესაძლებელია მისი გამორთვა.

- იმოქმედეთ "ნადების მოსაშორებელი მოწყობილობის დაყენება" აღწერილობის შესაბამისად და დააყენეთ დონე 0. ამგვარად, სინისტის დამარბილებელი მოწყობილობა და მარილის დამატების მაჩვენებელი გამოირთვება.

⚠ ყურადღება

არასოდეს შეავსოთ სარეცხი საშუალებით სპეციალური მარილის ავზი. ეს გაანადგურებს სინისტის დამარბილებელ მოწყობილობას.


☀ სავლები საშუალება

როგორც კი გავლების შევსების მაჩვენებელი [10] პანელზე გაანათებს, გავლების საშუალების მარაგი 1 - 2 გავლების ციკლისათვის იქნება საკმარისი. საჭიროა გავლების საშუალების შევსება.


გავლების საშუალება საჭიროა ჭუჭყლის ლაქების გარეშე გამშრალებისა და ბზინვარე ჭიქებისათვის. გამოიყენეთ მხოლოდ საყოფაცხოვრებო სავლები საშუალებები.

სავლებ კომპონენტებთან კომბინირებული საწმენდი საშუალება შესაძლებელია გამოყენებული იქნას 21° dH წყლის სინისტის დროს (37° fH, 26° კლარკი, 3,7° მმოლ/ლ). 21° dH-ზე მაღალი წყლის სინისტის დროსაც, ასევე რეკომენდირებულია სავლები საშუალების გამოყენება.

1. გახსენით შევსების ავზი [29], კავის ჭერის მხარეს მიწოლითა და აწევით.



- სავლები საშუალება სიფრთხილით შეავსეთ შემავსებელი ღიობის მაქს. დონემდე



- დაზურეთ თავსაზური, სანამ ის ბოლომდე არ ჩაჯდება.
- გადმოსული სავლები საშუალება მაგალითად ჩვარის გამოყენებით მოაშორეთ, რომ შემდეგი გავლების დროს ჭარბი ქაფი არ წარმოიქმნას.

სავლები საშუალების რაოდენობის დაყენება

სავლები საშუალების რაოდენობის დაყენება შესაძლებელია 4 დონეზე. შესაბამისად გაანათებს 0, 1, 2 ან 3 მაჩვენებელი (იხილეთ წყლის სიხისტის ცხრილი).

ქარხნულად დაყენებული დონე: 2.

სავლები საშუალების რაოდენობა მხოლოდ მაშინ შეცვალეთ თუ მსუბუქი გავლება (უფრო დაბალი დონე) ან წყლის ლაქების მოშორება გასურთ (უფრო მაღალი დონე).

- გააღეთ კარი.
- ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი 1.

- ლილაკზე > 6 გეჭიროთ და ჩართვის ლილაკს 9 მანამ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელი შრობა 8 და მარილის დამატების მაჩვენებელი 11 ციმციმებენ.

- აუშვით ლილაკს.

- ლილაკს > 6 იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ სავლები საშუალების დამატების მოთხოვნის მაჩვენებელი 10 ციმციმებს.

სავლები საშუალების დამატების მოთხოვნის მაჩვენებელი 10 ციმციმებს და მაჩვენებელი A და B ანათებენ (=დონე 2).

პარამეტრების შესაცვლელად:

- დააჭირეთ ლილაკს < 5, სანამ სასურველი დონე არ დაყენდება.
- დააჭირეთ ლილაკს 9 ჩართვა. მაჩვენებლები 8 და 10 ჩაქვრებიან. შეინახება დაყენებული დონე.
- დაკეტეთ კარები.

სავლები საშუალების შევსების მაჩვენებლის გამორთვა

თუ, სავლები საშუალების შევსების მაჩვენებელი 10 ხელს გიშლით (მაგ. სავლები საშუალების კომპონენტებით კომბინირებული გარეცხვა), ის შეგიძლიათ გამორთოთ.

- იმოქმედეთ "სარეცხი საშუალების რაოდენობის დაყენების" აღწერილობის შესაბამისად და დააყენეთ დონე 0.

ასე, სავლები საშუალების შევსების მაჩვენებელი 10 გამორთვება.



ჭურჭელი

არ არის რეკომენდირებული

- დანა-ჩანგალი და ხის ჭურჭლის ნაწილები.
- მგრძნობიარე დეკორატიული შუშები, მხატვრული და ანტიკური ჭურჭელი. ეს დეკორები არ არის ჭურჭლის სარეცნი მოწყობილობის მიმართ მდგრადი.
- სიცხის მიმართ მგრძნობიარე პლასტმასის ნაწილები.
- სპილენძისა და კალის ჭურჭელი.
- ჭურჭელი, რომელიც ნახშირით, ცვილით, საპონი ცხიმით ან საღებავით არის დაბინძურებული.

შუშის დეკორმა, ალუმინმა და ვერცხლის ნაწილებმა შესაძლოა გავლებისას ფერის ცვლილება განაპირობონ. ასევე ბევრი რეცხვისაგან შუშის ზოგირთი ნაწილები (მაგ. ბროლის მინის ნივთები) შეიძლება დაიბუროს.

მინისა და ჭურჭლის დაზიანება

მიზეზები:

- მინისა და მისი წარმოების ტიპი.
- საწმენდი საშუალებების ქიმიური შემადგენლობა.
- გავლების პროგრამისას წყლის ტემპერატურა.

რეკომენდაცია:

- გამოიყენეთ მხოლოდ მინა და ფაიფური, რომელიც მწარმოებლის მიერ, ჭურჭლის სარეცნი მანქანის მიერ მდგრადად არის აღნიშნული.
- გამოიყენეთ საწმენდი საშუალება, რომელზეც მითითებულია ჭურჭლისათვის რეკომენდირებული.
- შუშა და დანა-ჩანგალი, პროგრამის დასრულებიდან მაქსიმალურად მოკლე დროში გამოიღეთ ჭურჭლის სარეცნი მოწყობილობიდან.

ჩალაგება

1. მოამორეთ საკვების უხეში ნარჩენები. წინასწარ გავლება გამდინარე წყლის ქვეშ არ არის საჭირო.
2. ჭურჭელი ისე ჩალაგეთ, რომ
 - მყარად იდგეს და არ გადაყირავდეს.
 - ყველა ჭურჭელი ღიობით ქვემოთ უნდა ჩალაგდეს.
 - ნაწილები ამობურცულობები ან ჩაღრმავებებით დამრეცად დადგით, რათა წყალმა გამოსვლა შეძლოს.
 - ეს არ უშლის ხელს სარეცნი მკლავების ტრიალს [23] და [24] არ აფერხებს.

ჭურჭლის ძალიან პატარა ნაწილები არ უნდა გაირეცხოს მანქანაში, ვინაიდან ისინი მარტივად შეიძლება გადმოცვივდნენ კალათიდან.

ამოლაგება

ზედა კალათიდან, ქვედა კალათის ჭურჭელზე წყლის წვეთების ჩამოდინების თავიდან არიდებისათვის, რეკომენდირებულია დანადგარის ქვემოდან ზემოთ მიმართულებით დაცლა.

ცხელი ჭურჭელი მიჯახების მიმართ ძალიან მგრძობიარეა! ამიტომ, პროგრამის დასრულების შემდეგ, დაელოდეთ ჭურჭლის სარეცხი მანქანის გაგრილებას, სანამ მასზე კარგად შეხებას შეძლებთ.

მიითითება

პროგრამის დასრულების შემდეგ, შესაძლოა დანადგარის შიდა სივრცეში კვლავ შეინიშნებოდეს წყლის წვეთები. ეს არანაირ ზეგავლენას არ ახდენს ჭურჭლის სიმშრალეზე.


ჭიქები და თასები

ჭურჭლის ზედა კალათი [20]




მიითითება

ყურადღება მიაქციეთ, რომ ჭურჭლის ერთეულები არ იდონ აბის ჩასადებზე [22]. ამას შეუძლია საწმენდი განაყოფის თავსახურის [30] დაბლოკვა განაპირობოს.



ქვაბები

ჭურჭლის ქვედა კალათი [28]



ka ჭურჭელი

რჩევა

ძლიერად დაბინძურებული ჭურჭელი (ჭვავები) ქვედა კალათში ჩაალაგეთ. ძლიერი სარეცხი ჭავლის მეშვეობით, თქვენ გავლების უკეთეს შედეგს მიიღებთ.


რჩევა

სხვა მაგალითები, თუ როგორ შეავსოთ ოპტიმალურად თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა, შეგიძლიათ ჩვენს მთავარი გვერდიდან უფასოდ ჩამოტვირთოთ. ინტერნეტის შესაბამისი მისამართი მოცემულია მოხმარების ამ ინსტრუქციის ბოლო გვერდზე.

დანა-ჩანგლის კალათი


დანა-ჩანგალი, დახარისხების გარეშე, ყოველთვის პირით ქვემოთ მოათავსეთ.

დაზიანების თავიდან ასარიდებლად, გრძელი, წვეტიანი ნაწილები და დანები დანების სათავსოზე დაალაგეთ.



თარო *


თარო და მის ქვეშ არსებული სივრცე პატარა თასებისა და ჭიქებისთვის ან დიდი ზომის დანა-ჩანგლისთვის გამოიყენეთ, როგორც არის მაგ. სადილის კოვზი ან კერძის ჩანგლები. თუ არ გჭირდებათ თარო, შეგიძლიათ ის ზემოთ აკეცოთ.



*მოდელის შესაბამისად შესაძლებელია 3 სხვადასხვა სიმაღლეზე რეგულირება. ამისათვის თარო პირველ რიგში ვერტიკალურად დააყენეთ და შემდეგ ზემოთ ასწიეთ, ამის შემდეგ მსუბუქად გადახარეთ, ქვემოთ სასურველ პოზიციაზე (1, 2 ან 3) შეაჯერეთ და ჩასვით სანამ ხმოვან დასტურს არ გაიგონებთ.


დასაკეცი შვერილები *

* მოდელის შესაბამისად დასაკეცი შვერილები, ქვაბების, ჯამებისა და ჭიქების უკეთესი განთავსების მიზნით იკეცება.




დანების ჩასალაგებელი *

* მოდელის შესაბამისად გრძელი დანები და მსგავსები, შესაძლებელია ჰორიზონტალურ მდგომარეობაში განთავსდნენ.



პატარა თევშების დამჭერი *

* მოდელის შესაბამისად ამ გზით, მსუბუქი პლასტმასის ნაწილები, მაგ. ჭიქები, თავსახურები და სხვა უსაფრთხოდ ჩამაგრდება.



კალათის სიმაღლის რეგულირება*

* მოდელის შესაბამისად

ჭურჭლის ზედა კალათი სურვილისამებრ, [20] სიმაღლეში შეგიძლიათ დაარეგულიროთ, რათა ზედა ან ქვედა სივრცეში მეტი ადგილი გქონდეთ ჭურჭლის მაღალი ერთეულების განთავსებისათვის.

მოწყობილობის სიმაღლე 81,5 სმ

	ზედა კალათი	ქვედა კალათი
ღონე 1 მაქს. \emptyset	22 სმ	30 სმ
ღონე 2 მაქს. \emptyset	24, 5 სმ	27,5 სმ
ღონე 3 მაქს. \emptyset	27 სმ	25 სმ


მოწყობილობის სიმაღლე 86, 5 სმ

	ზედა კალათი	ქვედა კალათი
ღონე 1 მაქს. \emptyset	24 სმ	33 სმ
ღონე 2 მაქს. \emptyset	26,5 სმ	30,5 სმ
ღონე 3 მაქს. \emptyset	29 სმ	28 სმ

თქვენი მოდელის ზედა კალათის აღჭურვილობის შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ერთ-ერთი შემდეგიდან:

ზედა კალათი გვერდითა ჩამკეტებით


1. გამოიღეთ ჭურჭლის ზედა კალათი [20].
2. დაშვებისათვის შიგნითა მიმართულებით დააჭირეთ ერთმანეთის მიმდევრობით ორივე ბერკეტს მარცხნივ და მარჯვნივ, კალათის გარე მხარეზე. ამასთან, კალათი გვერდულად, ზედა კანტებთან დაიჭირეთ, რომ უკუ მიმართულებით ქვემოთ არ ჩამოვარდეს.



3. აწევისათვის კალათს მოეჭიდეთ გვერდებიდან ზედა კატზე და ის ზემოთ ასწიეთ.
4. სანამ კალათს ისევ შეაცურებდეთ, დარწმუნდით, რომ ის ორივე მხარეს თანაბარ სიმაღლეზეა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანადგარის კარი ვერ დაიკეტება და ზედა სარეცხი მკლავი წყლის წრედთან კონტაქტში ვერ მოვა.

ზედა კალათი ზედა და ქვედა გორგოლაჭებით

1. გამოიღეთ ჭურჭლის ზედა კალათი 20.
2. გამოიღეთ ჭურჭლის ზედა კალათი და დაკიდეთ ის ზედა (მე-3 დონე) ან ქვედა (1 დონე) დონის გორგოლაჭებზე.



გამწმენდი

ჭურჭლის გასარეცხად თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ აბები როგორც ფხვნილისებრი ან თხევადი საწმენდი საშუალება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ხელით სარეცხი საშუალება. დაბინძურების დონის მიხედვით შეგიძლიათ ფხვნილით ან თხევადი გამწმენდით დოზირება ინდივიდუალურად დაარეგულიროთ. აბები შეიცავს ნებისმიერი წმენდითი დავალებისათვის საკმარისი რაოდენობით ნივთიერებებს. თამედროვე, მოქმედი საწმენდი საშუალებები გამოიყენებენ დაბალალკალურ რეცეპტს, რომელიც ენზიმებისაგან შედგება. ფრმენტები ქმნიან სიძლიერეს და შლიან ცილას. ფერადი ლაქების ამოსაყვანად (მაგ. ჩაი, კეტჩუპი) გამოიყენება ძირითადად მათეთრებელი ჟანგბადის ბაზაზე არსებული საწმენდები.

მითითება

კარგი გარეცხვის შედეგიანობისთვის აუცილებლად დააკვირდით გამწმენდის შეფუთვაზე არსებულ მითითებებს! დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში გირჩევთ დაუკავშირდეთ მწარმოებლის საკონსულტაციო ცენტრს.

⚠ გაფრთხილება – ყურადღება
 მიაქციეთ უსაფრთხოებისა და გამოყენების მითითებებს, რომელიც სარეცხი და სავლები პროდუქტების შეფუთვაზეა დატანილი.


ჩაასხით სარეცხი საშუალება

1. თუ სარეცხი საშუალების კამერა **[30]** ჯერ კიდევ დაკეტილია, მის გასაღებად საკეტი ბერკეტი **[31]**, გამოიყენეთ.


სარეცხი საშუალება მშრალ კამერაში **[30]** მოათავსეთ (აბი განივად ჩადეთ, არა ამოწეულად). დოზირება: იხილეთ შეფუთვაზე დატანილი მწარმოებლის მითითებები.

სარეცხი საშუალების კამერაში **[30]** დოზირების დაყენება დაგეხმარებათ სწორი რაოდენობის ფხვნილისა თუ თხევადი სარეცხი საშუალების გამოყენებაში.

სტანდარტულად, ნორმალური დაბინძურებისას, საკმარისია 20-25 მლ. აბების გამოყენებისას, საკმარისია ერთი აბი.



2. სარეცხი საშუალების კამერის თავსახური ზემოთ აწევით დახურეთ, სანამ ის უპრობლემოდ ჩაჯდება.



გამწმენდის დისპენსერი იხსნება პროგრამაზე დამოკიდებულ ავტომატურად ოპტიმალურ დროს. ფხვნილი ან თხევადი გამწმენდი საშუალება ნაწილდება მოწყობილობაში და იხსნება, აბი ვარდება აბის წვეთოვან სინში და იქ იშლება დოზირებულად.

რჩევა

ნაკლებად დასვრილი ჭურჭლის რეცხვისას საკმარისია ზოგადად უფრო ნაკლები რაოდენობით საწმენდი საშუალება ვიდრე მოცემულია.

განკუთვნილი საწმენდი და მოვლის საშუალებების შექმნა შეგიძლიათ ჩვენი ინტერნეტ გვერდის მეშვეობით ან მომხმარებელთა მომსახურების სამსახურის საშუალებით (ნახეთ უკანა გვერდზე).

კომბინირებული სარეცხი საშუალება

გარდა ჩვეულებრივი გამწმენდისა (Solo) შემოთავაზებულია აგრეთვე მთელი რიგი პროდუქტებისა დამატებითი ფუნქციებით. საწმენდი საშუალებების გარდა, ამ პროდუქტებს ხშირად სავლებებიც და მარილის შემცველებიც (3 ერთში) შეიცავენ, კომბინაციის შესაბამისად (4 ერთში, 5 ერთში და ა.შ) შესაძლებელია დამატებითი კომპონენტების არსებობაც, როგორც არის მაგ. მინის დამცავი ან უჟანგავი მეტალის გასაპრიალებელი. კომბინირებული წმენდის ფუნქციები დასაშვებია მხოლოდ კონკრეტულ სიხისტემდე (ძირითადად 21 °dH). ამ ზღვრებზე მაღლა, საჭიროა მარილისა და სავლები საშუალების დამატება.

როგორც კი კომბინირებული გამწმენდი გამოიყენება, გარეცხვის პროგრამა ავტომატურად ყენდება ისე, რომ გარეცხვისა და გამშრალების საუკეთესო შედეგი იქნას მიღწეული.

⚠ გაფრთხილება – არ განათვსოთ არანაირი პატარა ნაწილები აბის წვეთოვან სინში [22]; აბის თანაბარი დაშლა ამით შეფერხდება.






⚠ გაფრთხილება – თუ პროგრამის დაწყების შემდეგ, ჭურჭლის დამატება გასურთ, გამოიყენეთ აბების ჩასადები უჯრა [22] არა როგორც ზედა კალათის დამჭერი. აბი შესაძლოა უკვე მასში იყოს და თქვენ შეხებაში მოხვით და ნაწილობრივ გახსნილ აბთან.

მითითებები

- ოპტიმალური გავლებისა და შრობის შედეგების მიღება მხოლოდ დამოუკიდებელი სარეცხი საშუალებით არის შესაძლებელი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად მოიხმართ მარილსა და სავლებ საშუალებას.
- მოკლე პროგრამებისას, სხვადასხვა დაშლის მოქმედებით, აბს სავარაუდოდ არ ექნება სრული გაწმენდის მოქმედება და ასევე შეიძლება დატოვოს ნარჩენები მოუცილებელი. ამ პროგრამისათვის, სარეცხი ფხვნილი უფრო შესაბამისია.
- „ინტენსიური“ პროგრამისას (ზოგიერთი მოდელისათვის) აბების დოზირება საკმარისია. საწმენდი ფხვნილების გამოყენებისას, დამატებით შეგიძლიათ დანადგარის შიგნითა კარზე მცირეოდენი საწმენდი საშუალება შეაპკუროთ.
- მაშინაც კი როდესაც გამვლების-და/ან მარილის დამატების მაჩვენებელი ანათებს, პროგრამა აგრძელებს მუშაობას კომბინირებული გამწმენდის გამოყენებისას შეუფერხებლად.
- გამწმენდების გამოყენება წყალში გამხსნადი დამცავი შრით: შეეხეთ შრეს მხოლოდ მშრალი ხელელებით და ჩაასხით გამწმენდი მხოლოდ აბსოლუტურად მშრალ გამწმენდის დიპენსერში, წინააღმდე შემთხვევაში შეიძლება შეწეება გამოიწვიოს.
- თუ თქვენ კომბინირებული გამწმენდიდან ერთ-კომპონენტთან გამწმენდზე გადახვალთ, დააკვირდით რომ თქვენ წყლის დამარბილებელი და გამვლების რაოდენობა სწორ პროგრამაზე დააყენოთ.

P პროგრამის მიმოხილვა

ამ მიმოხილვაში მოცემულია მაქს. შესაძლო პროგრამათა რაოდენობა. შესაბამისი პროგრამები და მათი განლაგება ამოიკითხეთ თქვენი მართვის პანელიდან.

ჭურჭლის ტიპი	დაბინძურების ტიპი	პროგრამა	შესაძლო დამატებითი ფუნქციები	პროგრამის მიმდინარეობა
ქვაბები, ტაფები, ნაკლებად მგრძობიარე ჭურჭელი და დანა-ჩანგალი	ძლიერად ჩამჯდარი, მიმწვარი ან შემშრალი, ძლიერი ან ცილის შემცველი საკვების ნარჩენები	 ინტენსიური 70°	ყველა	წინასწარ გავლება გაწმენდა 70° პერიოდული გავლება 65° შრობა
		 ნორმალური 65°	ყველა	წინასწარ გავლება გაწმენდა 65° პერიოდული გავლება 65° შრობა
შერეული ჭურჭელი და დანა-ჩანგალი	მსუბუქად შემშრალი, საყოფაცხოვრებო საკვების ნარჩენები	 ნორმალური 65°	ყველა	წინასწარ გავლება გაწმენდა 65° პერიოდული გავლება 65° შრობა
		 ეკო 50°	ყველა	წინასწარ გავლება გაწმენდა 50° პერიოდული გავლება 65° შრობა
		night  ღამის	ინტენსიური ზონა ნახევარი დატვირთვა ამიმსნტლეურზემ განსაკუთრებით გაშრობა	წინასწარ გავლება გაწმენდა 50° პერიოდული გავლება 65° შრობა
შერეული ჭურჭელი და დანა-ჩანგალი	მსუბუქად შემშრალი, საყოფაცხოვრებო საკვების ნარჩენები	1h 65°	განსაკუთრებით გაშრობა	გაწმენდა 65° პერიოდული გავლება 70° შრობა

ჭურჭლის ყველა ტიპი	რეცხვის მიმდინარეობისას ცივად გავლება	 წინასწარ გავლება	გარეშე	წინასწარ გავლება
--------------------	---------------------------------------	---	--------	------------------

პროგრამის არჩევა

თქვენ შეგიძლიათ ჭურჭლისა და დაბინძურების ტიპის მიხედვით აირჩიოთ შესაბამისი პროგრამა.

მითითებები სატესტო ორგანოებისათვის

სატესტო ორგანოების მიერ მოწოდებულია მითითებები შემოწმების შედარებისათვის (მაგ. EN60436-ის შესაბამისად).

აქ საქმე ეხება ტესტის შემოწმების მოთხოვნებს, თუმცა არა შედეგებსა თუ მოხმარების ერთეულებს.


გთხოვთ მოთხოვნა გამოგზავნოთ შემდეგ ელ-ფოსტაზე:

dishwasher@test-appliances.com

საჭირო პროდუქტის ნომერი (E-Nr.) და წარმოების ნომერი (FD), რომელიც, დანადგარის კარზე, ტიპის ნიშნულზეა 32 დატანილია.

P+ დამატებითი ფუნქციები

* მოდელის შესაბამისად

 დილაკებით შესაძლებელია დამატებითი ფუნქციების დაყენება.

დროის ეკონომია (VarioSpeed) *

"დროის დაზოგვის" ფუნქციით, შესაძლებელია შერჩეული რეცხვის პროგრამისათვის მიმდინარეობის ხანგრძლივობა დაახლ. 20-50%-მდე შემცირდეს. შემცირებული მიმდინარეობისას, რეცხვისა და შრობის ოპტიმალური შედეგების მისაღწევად, მოიმატებს წყლისა და ენერგიის მოხმარება.

ინტენსიური ზონა *

შესანიშნავია შერეული დატვირთვისათვის. თქვენ შეგიძლიათ ძლიერად დაბინძურებული ქვაბები და ტაფები ქვედა კალათში, ზედა კალათში არსებულ ნორმალურად დაბინძურებულ ჭურჭელთან ერთად გარეცხოთ. ქვედა კალათში ძლიერდება ჭავლის წნევა, მცირედით მატულობს სარეცხი ტემპერატურა.

ჰიგიენა პლუსი *

ამ ფუნქციის მეშვეობით იმატებს ტემპერატურა და გრძელდება ძალიან ხანგრძლივად, რათა განსაზღვრული დეზინფექცია იქნას უზრუნველყოფილი. ამ ფუნქციის უწყვეტი გამოყენებით, უფრო მაღალი ჰიგიენური სტატუსი მიიღწევა. ეს დამატებითი ფუნქცია იდეალურია მაგალითად საჭრელი დაფების ან ბავშვის ბოთლებისათვის.

ნახევარი დატვირთვა *

თუ თქვენ მხოლოდ მცირე რაოდენობის ჭურჭლის გარეცხვა გსურთ (მაგ. ჭიქები, თასები, თეფშები), თქვენ შეგიძლიათ „ნახევარი დატვირთვა“ ჩართოთ. ამ დროს, წყლის, ენერგიისა და დროის ეკონომია ხდება. გასარეცხად, უჯრაში უფრო ნაკლები სარეცხი საშუალება მოათავსეთ, ვიდრე სრული დატვირთვისას არის რეკომენდირებული.

განსაკუთრებული შრომა *

გავლების დროს მომატებული ტემპერატურა და განხანგრძლივებული შრობის ფაზა, საშუალებას იძლევა პლასტმასის ერთეულები უკეთ გაშრეს. ამ დროს ენერგიის ხარჯვა მსუბუქად იმატებს.



დანადგარის გამოყენება

პროგრამის მონაცემები

პროგრამის მონაცემები (მოხმარების ერთეულები) შეგიძლიათ იხილოთ მოკლე სახელმძღვანელოში. ისინი განსვთვნილია ნორმალურ პირობებში ექსპლუატაციისათვის და წყლის სიხისტით 2. განსხვავებული ზემოქმედების ფაქტორები, როგორცაა წყლის ტემპერატურა ან გაყვანილობის წნევა შესაძლოა ვარირებდეს.

აქვასენსორი *

* მოდელის შესაბამისად

წყლის სენსორი არის ოპტიკური საზომი მოწყობილობა (სინათლის ბარიერი), რომლითაც სარეცხი წყლის სიმღვრიე იზომება.

წყლის სენსორის გამოყენება ხდება პროგრამის სპეციფიკაციიდან გამომდინარე. თუ აქვა-სენსორი აქტიურია, შესაძლოა „სუფთა“ სავლები წყალი შემდეგ სავლებ ავზში გადავიდეს და წყლის მოხმარება 3-6 ლიტრით შემცირდეს. თუ დაბინძურება ძლიერია, ის გაიტუმბება და ახალი წყლით შეივსება. ავტომატური პროგრამებისას, დამატებით ტემპერატურა და პროგრამის დროც ერგება.

დანადგარის ჩართვა

1. ბოლომდე გახსენით წყლის ონკანი.
 2. გააღეთ კარი.
 3. ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი 1.
- ციმციმებს ეკო 50 პროგრამის მაჩვენებელი. ეს პროგრამა რჩება არჩეული, როდესაც ღილაკით < 5 ან ღილაკით > 6 სხვა პროგრამა არ იქნება შერჩეული.
4. დააჭირეთ ჩართვის ღილაკს 9.
 5. დაკეტეთ კარები.
- დაიწყება პროგრამის მიმდინარეობა.

მითითება

ჭურჭლის სარეცხი მანქანის გარემოსადმი არასაზიანო ექსპლუატაცია:

ეკოლოგიური საფუძვლების გამო, პროგრამა ეკო 50°, ნაგულისხმევად არის დაყენებული ნებისმიერი დანადგარის ტიპისათვის. ამით უფროსილდებით, როგორც გარემო რესურსებს ისე, თქვენს ბიუჯეტს.

ეკო 50 არის პროგრამა, რომელიც განსაკუთრებულად უფროსილდება გარემო რესურსებს. ეს არის სტანდარტული პროგრამა 1016/2010 ევროპული კავშირის რეგულირების მიხედვით, რომელიც საშუალოდ დაბინძურებული ჭურჭლის სტანდარტული გასუფთავება გაწმენდის ციკლსა და წყლისა და ენერჯის კომბინაციურ ხმარებას გასუფთავების მიზნით ყველაზე ეფექტურად წარმოადგენს.

პროგრამიშიმიდინარეობისას ოპტიკური მაჩვენებელი *

* მოდელის შესაბამისად

პროგრამის მიმდინარეობისას, გამოჩნდება სინათლე იატაკზე, დანადგარის კარის ქვეშ. ჭურჭლის სარეცხი მანქანის კარი მას შემდეგ გააღეთ, რაც იატაკზე განათება აღარ იქნება ხილვადი.

მაღალ კარადაში ჩაშენებისას, დამასრულებელი ავეჯის პანელის გამო, განათების მაჩვენებელი აღარ არის ხილვადი.

დროის არჩევა*

* მოდელის შესაბამისად

თქვენ შეგიძლიათ პროგრამის ჩართვა 3, 6 ან 9 საათამდე გადაავადოთ.

1. ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი 1.
2. არჩეული დროის გასაუქმებლად, ღილაკს 2 იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ შესაბამისი მაჩვენებელი 3სთ, 6სთ ან 9 სთ აღარ გამოჩნდება.
3. ჩართვის ღილაკზე 9 დჭერით, დროის დაყენება გააქტიურდება.
4. არჩეული დროის გასაუქმებლად, ღილაკს 2 იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ აღარ გამოჩნდება მაჩვენებელი 3სთ, 6 სთ ან 9სთ.
ჩართვამდე, თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენთვის სასურველი პროგრამა.

პროგრამის დასრულება

პროგრამა დასრულებულია, როდესაც არც ერთი 8 ან 7 მაჩვენებელი არ ანათებს.

დამატებით, პროგრამის დასრულებისას აკუსტიკური ზუმერით იქნება გამონატული. ზუმერი დაყენებადის მე-4 დონეზე. შესაბამისად გაანათებს 0, 1, 2 ან 3 მაჩვენებელი (იხილეთ წყლის სიხისტის ცხრილი). ქარხნულად დაყენებული დონე: 2. აღნიშნული ფუნქცია შესაძლებელია შემდენარად შეიცვალოს:

1. გააღეთ კარი.
2. ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი 1.
3. ღილაკზე > 6 გეჭიროთ და ჩართვის ღილაკს 9 მანამ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელი შრობა 8 და მარილის დამატების მაჩვენებელი 11 ციმციმებენ.
4. აუშვით ღილაკს.
5. ღილაკს > 6 იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ მარილის დამატების მოთხოვნის მაჩვენებელი 11 და სავლები საშუალების დამატების მოთხოვნის მაჩვენებელი 10 ციმციმებენ.
6. აუშვით ღილაკს.
დამატების მაჩვენებლები 11 და 10 ციმციმებენ და მაჩვენებლები A და B ანათებენ (=დონე 2) ისმის დაყენებული ზუმერი..

პარამეტრების შესაცვლელად:

1. დააჭირეთ ღილაკს < 5, სანამ სასურველი დონე არ დაყენდება.
2. დააჭირეთ ღილაკს 9 ჩართვა. მაჩვენებლები ქვრება. შეინახება დაყენებული დონე.
3. დაკეტეთ კარები.

მითითება

ენერჯის დაზოგვის მიზნით, ჭურჭლის სარეცნი მანქანა პროგრამის დასრულების შემდეგ ავტომატურად გაითიშება.

პროგრამის შეწყვეტა

1. გააღეთ კარი.
2. გამორთეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი 1.

ჩაქვრება განათბული მაჩვენებლები. პროგრამა შენახული რჩება. თუ ცხელი წყლის შეერთებისას ან გაცხელებული დანადგარისას, გახნით მის კარს, რამოდენიმე წუთი დაელოდეთ და შემდეგ დახურეთ ის. სხვა შემთხვევაში გაფართოების (ჭარბი წნევის) გამო დანადგარის კარი შესაძლოა გამოვარდეს ან დანადგარიდან წყალი გადმოვიდეს.

